ფოტოვიდეოგადაღება საარჩევნო უბანზე

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ:

- ამომრჩეველს, ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს და ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს/წარმომადგენლებს;
- საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში (ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის არაუმეტეს 1 წარმომადგენელს);
- შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ მედიის წარმომადგენლებს (ერთი და იმავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების არაუმეტეს 2 წარმომადგენელს);
- შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებს (ერთი და იმავე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის არაუმეტეს 1 დამკვირვებელს);
- ცესკოში რეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლებს (ერთი და იმავე საერთაშორისო ორგანიზაციის არაუმეტეს 2 დამკვირვებელს, მათ შესაძლოა ახლდეთ თარჯიმანი).

კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნის გახსნიდან (დილის 06:45 საათი) საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის პერიოდის ჩათვლით, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფის მიზნით, დაუშვებელია:

- კენჭისყრის კაბინაში ფოტოვიდეოგადაღება, რათა არ გამჟღავნდეს ამომრჩევლის არჩევანი;
- ამომრჩეველთა სიების საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი (სამაგიდო) ვერსიის და სხვა ისეთი ინფორმაციის ან მონაცემების ფოტოვიდეოგადაღება, ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას (მათ შორის, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატზე გამოტანილი ამომრჩევლის მონაცემების, ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრის, ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანის), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ფოტოვიდეოგადაღება ან დამუშავება გათვალისწინებულია საარჩევნო კანონმდებლობით.

კენჭისყრის პროცესის ხელის შეუშლელად მიმდინარეობის უზრუნველყოფის მიზნით:

- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებთან ინტერვიუს ჩაწერა დასაშვებია მხოლოდ კენჭისყრის შენობის გარეთ;
- საარჩევნო კომისიის წევრებმა ინტერვიუ უნდა მისცენ კენჭისყრის პროცესში მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების შეფერხების გარეშე.

კენჭისყრის დღეს დილის 06:45 საათიდან საარჩევნო უბანზე პირველი ამომრჩევლის მოსვლამდე და საარჩევნო უბანზე ბოლო ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის შემდგომი პერიოდიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის პერიოდის ჩათვლით

საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით:

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება კენჭისყრის პროცესის ხელის შეშლის გარეშე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან, საიდანაც ჩანს საარჩევნო პროცესი.

მინიმალური მანძილი ნებისმიერი პირისათვის ფოტოვიდეო გადასაღებად უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრით დაშორებული გადაღების სუბიექტიდან/ობიექტიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კენჭისყრის შენობა არ იძლევა 3 მეტრიანი დისტანციის დაცვის საშუალებას. ასეთ შემთხვევაში გადასაღებ ადგილს განსაზღვრავს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

ერთსა და იმავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენელს უფლება აქვს, ერთ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესის განმავლობაში ერთხელ, არაუმეტეს 10 წუთისა აწარმოოს ფოტოვიდეოგადაღება ნებისმიერი ადგილიდან, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფით. თუ აღნიშნულ წარმომადგენელს აქვს სურვილი, ფოტოვიდეოგადაღება აწარმოოს 10 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ ის ვალდებულია დაიკავოს კენჭისყრის შენობაში საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ სპეციალურად გამოყოფილი ადგილი. ამ ადგილიდან უნდა ჩანდეს საარჩევნო ყუთი.

კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბანზე პირველი ამომრჩევლის მოსვლიდან ბოლო ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პერიოდში, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება კენჭისყრის პროცესის ხელის შეშლის გარეშე, რაც გულისხმობს:

- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირის მიერ კენჭისყრის მთელი დღის განმავლობაში ფოტოვიდეოგადაღების წარმოებას იმდაგვარად, რომ ფოტოვიდეოგადამღები აპარატი იმყოფებოდეს კომისიის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ადგილზე. ადგილი იმდაგვარად უნდა იყოს შერჩეული, რომ ჩანდეს საარჩევნო ყუთი;
- მინიმალური მანძილი ნებისმიერი პირისათვის ფოტოვიდეო გადასაღებად უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრით დაშორებული გადაღების სუბიექტიდან/ობიექტიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კენჭისყრის შენობა არ იძლევა 3 მეტრიანი დისტანციის დაცვის საშუალებას. ასეთ შემთხვევაში გადასაღებ ადგილს განსაზღვრავს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
- ერთსა და იმავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენელს უფლება აქვს, ერთ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესის განმავლობაში ერთხელ, არაუმეტეს 10 წუთისა აწარმოოს ფოტოვიდეოგადაღება ნებისმიერი ადგილიდან, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფით. თუ აღნიშნულ წარმომადგენელს აქვს სურვილი, ფოტოვიდეოგადაღება აწარმოოს 10 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ ის ვალდებულია დაიკავოს კენჭისყრის შენობაში საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ სპეციალურად გამოყოფილი ადგილი. ამ ადგილიდან უნდა ჩანდეს საარჩევნო ყუთი;
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ დაუბრკოლებლად გადაიღონ საარჩევნო უბნებში კენჭისყრის პროცესის ის პერიოდი, როდესაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ამომრჩევლები (პოლიტიკური თანამდებობის პირები, საარჩევნო სუბიექტებისა და პოლიტიკური გაერთიანებების ხელმძღვანელები, რელიგიური ლიდერები) აძლევენ ხმას, რის შემდეგაც ფოტოვიდეოგადამღები აპარატები გატანილ უნდა იქნეს კენჭისყრის შენობიდან;
- ფოტოვიდეოგადაღების წარმოების წესების დარღვევის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისია ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირის კენჭისყრის შენობიდან გაძევების შესახებ.